აგენტის მომსახურების ხელშეკრულების

ზოგადი პირობები

1. ტერმინთა განმარტება

1.1. ბანკი - სს „კრედო ბანკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232238.
1.2. აგენტი- ფიზიკური პირი, რომელიც უწევს კლიენტს ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურებას;
1.3. მესამე პირი – ნებისმიერი პირი გარდა ბანკისა ან/და აგენტისა.
1.4. მომსახურება - აგენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი მომსახურება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს აგენტს მისი საბანკო ანგარიშის მეშვეობით მოემსახუროს კლიენტს და შეასრულოს კლიენტის ან/სხვა სხვა მესამე პირის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანა და/ან კლიენტისათვის ნაღდი ფულის გადაცემა. ეს გულისხმობს, შემდეგს: აგენტს შეუძლია მიიღოს გადმორიცხვები კლიენტისგან და სანაცვლოდ დაუბრუნოს ნაღდი ფული, და პირიქით, მიიღოს ნაღდი ფული კლიენტისგან და გადაურიცხოს მას ან სხვა მესამე პირს საბანკო ანგარიშზე. სერვისი აგენტს შესაძლებლობას აძლევს თანხის საბანკო ანგარიშზე შეტანა და საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ფულის გაცემა განახორციელოს ტრადიციული არხების გამოყენების გარეშე (მაგ.: ბანკომატები, გადახდის აპარატები, საბანკო არხები).
1.5. მომსახურების საფასური - მომსახურების მიღების სანაცვლოდ, ბანკის ან/და კლიენტის მიერ აგენტისათვის გადასახდელი თანხა დანართი N1-ის შესაბამისად.
1.6. მხარე/მხარეები – ბანკი ან/და აგენტი (კონტექსტის შესაბამისად).
1.7. სამუშაო დღე – დღე, შაბათის, კვირის და კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.
1.8. ხელშეკრულება - წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება, მომსახურების ხელშეკრულება (არსებითი პირობები), ხელშეკრულების დანართ(ები), ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გაფორმდება მხარეთა ხელშეკრულების ფარგლებში და/ან მისგან გამომდინარე.
1.9. კლიენტი - პირი, რომელსაც გახსნილი აქვს ბანკში საბანკო ანგარიში.
1.10. საბანკო ანგარიში - სს ,,კრედო ბანკში“ არსებული საბანკო ანგარიში.
1.11. Mycredo.ge - ფიზიკური პირების ინტერნეტ/მობაილ ბანკი.
1.12. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. **აგენტი ვალდებულია:**

2.1.1. უზრუნველყოს კლიენტისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დაცვით;
2.1.2. მომსახურების შესრულებამდე განხორციელოს კლიენტის იდენტიფიცირება, დარწმუნდეს კლიენტის ვინაობაში მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე
2.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება აგენტმა უნდა განახორციელოს ორშაბათიდან-კვირის ჩათვლით, 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე.
2.1.4. მომსახურების გაწევისას მკაცრად დაიცვას დანართი N1-ის შესაბამისად დადგენილი ლიმიტები/პირობები:
2.1.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისაგან მიღებული ფულადი თანხები ტოლია ან/და აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, დაუყოვნებლივ შეიტანოს თანხა ხელშეკრულების მიზნებისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე.
2.1.6. კლიენტს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის შესახებ;

2.1.7. არ განახორციელოს შესასრულებელი ტრანზაქციის დანაწევრება, რაც გულისხმობს რომ აგენტმა მოთხოვნილი მომსახურება უნდა შეასრულოს 1 ტრანზაქციის ფარგლებში;

2.1.8. აწარმოოს და შეინახოს განხორციელებული მომსახურების შესახებ პირადი ჩანაწერები, მათ შორის აღრიცხოს განხორციელებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია (კლიენტის ვინაობა, თანხის ოდენობა და სხვა.) და მოთხოვნის შემთხვევაში ბანკს დროულად მიაწოდოს პირადი ჩანაწერების ფოტოასლი ან/და სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია.

2.1.9. არ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისათვის გახსნილი საბანკო ანგარიში პირადი გადახდების/გადარიცხვების საჭიროებებისათვის (ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია არ ჩაურიცხოს აგენტს მომსახურების საფასური ან/და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება).

2.1.10. ბანკთან, ასევე კლიენტთან ურთიერთობა წარმართოს კეთილსინდისიერად, ამ სფეროში არსებული ეთიკისა და სტანდარტების დაცვით, არ დაუშვას ბანკის სახელისა და ღირსების შელახვა.

2.1.11. მომსახურება გასწიოს ბანკის სტანდარტების და მითითებების შესაბამისად.

2.1.12. კლიენტისათვის თანხის გადაღდებისას/მომსახურების გაწევისას შეამოწმოს ფული ვიზუალურად, იმ შემთხვევაში თუ აგენტი მიიჩნევს, რომ ფული საეჭვოა ვალდებულია უარის თქვას ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე.

2.1.13. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის იდენტიფიცირება ვერ ხერდება, ან/და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კლიენტის საქმიანობა ან/და ტრანზაქცია /გარიგება საეჭვოა, უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურებაზე და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ.

2.1.14. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განახორციელოს მომსახურების გაცნობა/რეკლამირება მისთვის ხელმოსაწვდომი არხების გამოყენებით, სოციალური ქსელები, თავშეყრის ადგილებში და სხვ.

2.1.15. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს მომსახურების ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ;

2.1.16. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პროცესში დაფიქსირდება, რაიმე სახის ხარვეზი, უზუსტობა, ან კლიენტთან არ გაიგზავნება შეტყობინება (სმს კოდი).

2.1.17. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ ითანამშრომლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით სხვა ბანკთან ან/და სხვა საბანკო/საფინანსო დაწესებულებებთან. (ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება).

2.1.18. აგენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.

2.1.19. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მხრიდან განხორციელდება ნებისმიერი თანხების შეცდომით ან/და ზედმეტობით ჩარიცხვა აგენტის საბანკო ანგარიშზე, არ განახორციელოს მისი სრულად ან ნაწილობრივ გახარჯვა და დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ან/და ზედმეტობით ჩარიცხული თანხები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია აგენტის დამატებითი თანხმობის გარეშე უაქცეპტოდ მოახდინოს ზედმეტობით ან/და შეცდომით ჩარიცხული თანხების ჩამოჭრა.

2.2. **საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის მომსახურების შესრულებამდე ან/და შესრულებისას აგენტი ვალდებულია;**

ა) დარწმუნდეს, რომ კლიენტს ან სხვა მესამე პირს ნამდვილად აქვს საბანკო ანგარიში;

ბ) დარწმუნდეს კლიენტის ვინაობაში, მოახდინოს მისი იდენტიფიკაცია წარმოდგენილი პირადობის მოწმობის/პასპორტის საფუძველზე;

გ) უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე, თუ არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს/პასპორტს;

დ) მომსახურების შესრულებამდე დარწმუნდეს, რომ საბანკო ანგარიშზე აქვს საკმარისი თანხა მომსახურების შესასრულებლად;

ე) თანხის შეტანის მომსახურების შესრულებისას მიუთითოს დანიშნულება;

ვ) რამდენიმე საბანკო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, თანხის შეტანის მომსახურება უნდა შეასრულოს კლიენტის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მოთხოვნით თანხის გადარიცხვა ხორციელდება სხვა მესამე პირის საბანკო ანგარიშზე, აგენტმა უნდა მოსთხოვოს კლიენტს მიმღების პირადი ნომერი ან/და საბანკო ანგარიშის ნომერი;

თ) თანხის შეტანის მომსახურების შესრულებისას ინტერნეტ/მობაილ ბანკში არსებული კლიენტის ან/სხვა მესამე პირის მონაცემები დააზუსტოს კლიენტთან;

ი) მომსახურება შეასრულოს მხოლოდ ლარში;

კ) დარწმუნდეს, რომ კლიენტს მიუვიდა თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება (სმს).

2.3. **კლიენტისათვის ნაღდი ფულის გადაცემის (თანხის განაღდების) მომსახურების შესრულებამდე ან/და შესრულებისას აგენტი ვალდებულია;**

ა) დარწმუნდეს, რომ კლიენტს ნამდვილად აქვს საბანკო ანგარიში;

ბ) დარწმუნდეს, რომ საბანკო ანგარიშზე აქვს საკმარისი თანხა მომსახურების შესასრულებლად;

გ) კლიენტს ნაღდი ფული გადასცეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა კლიენტისაგან შესაბამისი ოდენობის თანხა;

დ) მომსახურება შეასრულოს მხოლოდ ლარში;

2.4. **აგენტი უფლებამოსილია:**

2.4.1. დანართი N1-ის შესაბამისად, მოსთხოვოს კლიენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.4.2. ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად, მიიღოს ნებისმიერი საჭირო განმარტება ბანკის შესაბამისი პირებისაგან;

2.4.3. მიიღოს მომსახურების საფასური დანართი N1-ის შესაბამისად;

2.4.4. საჭიროების შემთხვევაში კლიენტს მიაწოდოს ზოგადი ინფორმაცია ბანკის შესახებ, როგორიცა და არა მხოლოდ სამუშაო საათები, სერვის ცენტრების მისამართი, ქოლ-ცენტრის ტელეფონის ნომერი და სხვ.

2.4.5. ყველანაირი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე, თუ გაუჩნდება ეჭვი, რომ კლიენტი ახორციელებს გადასახადების თავიდან არიდებას/დამალვას, საეჭვო გარიგებას და გაუჭდება ეჭვი, რომ მომსახურება შესაძლოა შესრულდეს უკანონოდ მოპოვებული შემოსავლების საფუძველზე ან/და ფულის გათეთრების მიზნით ან უკავშირდება ტერორიზმის დაფინანსებას, ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აგენტმა არ უნდა გაუმჟღავნოს კლიენტს უარის თქმის მიზეზი და აგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ამგვარი ფაქტის შესახებ.

2.5. აგენტს ეკრძალება კლიენტის დახმარების მიზნით ან სხვა ნებისმიერი საფუძვლით (მათ შორის კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში) კლიენტის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გამოყენება ან/და რაიმე სახის რეკვიზიტების გამჟღავნების/გაზიარების მოთხოვნა.

2.6. აგენტს ეკრძალება მომსახურების გაწევა ბანკის სერვის ცენტრებში/ფილიალში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.7. აგენტს უფლება არ აქვს კლიენტს ან/და ბანკს დამატებით მოსთხოვოს სხვა რაიმე სახის მომსახურების საფასურის გადახდა, გარდა დანართი N1-ით განსაზღვრულისა.

2.8. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულება აგენტმა უნდა შეასრულოს პირადად. აგენტი არ არის უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი მოთხოვნის) მიიღოს მესამე პირისგან.

2.9. **ბანკი ვალდებულია:**

2.9.1. დანართი N1-ის შესაბამისად, გადაუხადოს აგენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური;
2.9.2. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პროცესებზე უზრუნველყოს აგენტისათვის შესაბამისი სწავლება და ტრენინგი;
2.9.3. ხელი შეუწყოს აგენტს მომსახურების ჯეროვან შესრულებაში და შეასრულოს მოქმედებები, რომელიც, აუცილებელი იქნება აგენტისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად;
2.9.4. მიაწოდოს აგენტს საჭირო ინფორმაცია, მომსახურების ჯეროვანი შესრულებისთვის;
2.9.5. საჭიროების შემთხვევაში გამოყოს საკონტაქტო პირი, რომელიც პრაქტიკულ დახმარებას აღმოუჩენს აგენტს.

2.9.6. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის ცვლილების შემთხვევაში აგენტს აცნობოს ცვლილების/დამატებების განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, ბანკის ვებგვერდზე: https://credobank.ge/conditions/ შესაბამისი ინფორმაციის განთავსების და აგენტისათვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.

2.10. **ბანკი უფლებამოსილია:**
2.10.1. მოსთხოვოს აგენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
2.10.2. მოითხოვოს აგენტისაგან მომსახურების მიმდინარეობის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, მოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები;
2.10.3. ნებისმიერ დროს მონიტორინგი გაუწიოს აგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს, იმ მიზნით, რომ აგენტმა ხელშეკრულებით განსაზღვრული წეს(ებ)ისა და პირობ(ებ)ის დაცვით უზრუნველყოს კლიენტისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, მაქსიმალურად დაცული იყოს კლიენტის უფლებები. ამ მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, მოსთხოვოს აგენტს ნებისმიერი სახის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა ან/და საკუთარი წარმომადგენლის დაშვება აგენტის მიერ მომსახურების გაწევის ადგილზე, ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების მიზნით.
2.10.4. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი აგენტის ნებისმიერი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ამასთან, თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ აგენტის მომსახურება საეჭვოა, აგენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ დროს დაბლოკოს და/ან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ნებისმიერი ოდენობის თანხები აგენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან. ანგარიშზე არსებული თანხის უცხოურ ვალუტაში არსებობის შემთხვევაში, კონვერტაცია განხორციელდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის არსებული კომერციული კურსის შესაბამისად.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. აგენტი ვალდებულია კლიენტის იდენტიფიკაცია განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. ასევე, ვალდებულია შეინახოს კლიენტის შესახებ მოპოვებული საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია ან/და დოკუმენტები. აგენტი პასუხს აგებს კლიენტთან დადებული საეჭვო გარიგებისათვის, რომლის მიმართაც არსებობს საფუძლიანი ეჭვი, რომ ის დაიდო ან შესრულდა უკანონოდ მოპოვებული ქონების ან/და ასეთი ქონებისაგან მიღებული შემოსავლის საფუძველზე ან/და ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების მიზნით.
3.2. აგენტი იძლევა გარანტიას, რომ კლიენტის იდენტიფიკაციის განხორციელების დროს მოიპოვებს მხოლოდ უტყუარ ინფორმაციას/დოკუმენტებს და არ განახორციელებს არასანქცირებულ ქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აგენტი პასუხს აგებს ბანკის წინაშე მისი ქმედებით მიყენებული ნებისმიერი სახისა და ოდენობის ზიანი/ზარალისათვის.

3.3. აგენტი ადასტურებს, რომ სრულად აცნობიერებს მის პასუხისმგებლობას ნებისმიერ შესრულებულ ქმედებაზე. კლიენტთან ან/და მესამე პირთან გაფორმებული ნებისმიერი სახის ხელშეკრულების/განაცხადის/დოკუმენტის შინაარსობრივად და ტექსტობრივად შეცვლის, ხელმოწერების გაყალბების/შეცვლის, თარიღების შეცვლის/გაყალბების შემთხვევაში, ასევე არაკეთილსინდისიერი და არაგულისხმიერი ქმედების ან/და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისა ან/და განუხორციელებლობის შემთხვევაში, აგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ სრულად აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული ზიანი/ზარალი.

3.4. აგენტი ვალდებულია კლიენტის მონაცემთა დამუშავება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბანკისათვის გადაცემა(ასეთის არსებობის შემთხვევაში) განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისთვის ან/და გადაცემისთვის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მოიპოვოს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით). წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, აგენტის მიერ ამ მონაცემების ბანკისათვის მიწოდების ფაქტი გულისხმობს კლიენტისაგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. აგენტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს ბანკს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

3.5. აგენტი იღებს ვალდებულებას: (ა) განახორციელოს კლიენტის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით ან ბანკის მარეგულირებლის მოთხოვნით; (ბ) დანერგოს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა აცილებული იქნას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან/და გასაჯაროება, (გ) განახორციელოს უფლებამოსილი პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

3.6. მხარეთა შეთანხმებით, იმ შემთხვევაში, თუ აგენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევისათვის, ბანკის მიმართ ნებისმიერ ორგანოს წარმოეშობა ნებისმიერი სახის მოთხოვნა ჯარიმის/ზიანის/ზარალის გადახდის სახით, აგენტი ვალდებულია დაუყონებლივ აუზანღაუროს ბანკს მოთხოვნილი ჯარიმა/ზიანი/ზარალი სრული მოცულობით.

4. კომუნიკაცია მხარეთა შორის

4.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ან/და ელექტრონულ ფორმას.

4.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ ფაქტობრივ ან/და ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის ან/და უშუალოდ მისამართის არარსებობის გამო ან/და თუ ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.

4.3. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფაქტობრივ და ელექტრონულ მისამართებზე. თითოეული მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული კომუნიკაცია ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

5. კონფიდენციალურობა

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

5.1.1. თუ უშუალოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისთვის.
5.1.2. რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა კანონმდებლობით.
5.2. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, აგენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, აგენტის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს, თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია ბანკის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგენტის მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში) ან/და აგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.
5.3. ტერმინი კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს ყველა სახის ნოუ-ჰაუს, ტექნიკურ დოკუმენტაციას და ბანკის ბიზნეს დაინტერესების სხვა ინფორმაციას, მათ შორის და არამხოლოდ: (ინფორმაციას საკუთრების უფლების შესახებ; სავაჭრო საიდუმლოებას; პოლიტიკებს, პროცესებს, ტექნოლოგიებს და შესაბამის დოკუმენტაციას; მონაცემებს და მონაცემთა სანახს სისტემებს; ბიზნეს გეგმას და ინფორმაცია ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ; ბიზნეს თანამშრომლობის/ პარტნიორების შესახებ ინფორმაციას; ნებისმიერი ფინანსურ და კომერციულ ინფორმაციას; პროდუქტს, პროდუქტის მახასიათებლებს, სერვისებს და სხვა ნებისმიერ ნოუ-ჰაუს დაკავშირებული ბანკთან და/ან მის კლიენტებთან).
5.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგენტი ადასტურებს და აცხადებს თანხმობას, რომ მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას განიხილავს, როგორც კონფიდენციალურს და არ გაანდობს ასეთი სახის ინფორმაციას მესამე პირს. ხელშეკრულების აღსრულების დროს, მესამე პირებთან თანამშრომლობის საჭიროების შემთხვევაში, არ გააზიარებს კონფიდენციალური ინფორმაციას ბანკთან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. წერილობით ან ზეპირად მიღებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომლის გამჟაღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბანკს, განიხილავს, როგორც განსაკუთრებულად კონფიდენციალურს. ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს. აგენტი თანხმობას აცხადებს, რომ რომ პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ ზიანზე, რომელიც ბანკს მიადგება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით.
5.5. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე მისი შეწყვეტის შემდგომაც.

6. პრეტენზიები და დავები

6.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.
6.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

7. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით. მომსახურების ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება დამატებით ყოველი 1 (ერთი) წლის ვადით, თუ არცერთმა მხარემ წერილობით არ აცნობა მეორე მხარეს, მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.
7.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია:
7.2.1. ბანკის მიერ, ცალმხრივად ნებისმიერ დროს, აგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანის შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. ბანკის მიერ, ცალმხრივად აგენტისათვის წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
7.2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
7.2.4. მხარეთა შეთანხმებით.
7.3. ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურება.

8. სხვა დებულებები

8.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში აგენტი იყენებს ბანკის ქონებას/დოკუმენტაციას და აღნიშნული ქონება არ წარმოადგენს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული აქტივის განუყოფელ ნაწილს, აგენტი ვალდებულია ხელშეკრულების დასრულების მომენტში შეწყვიტოს მიღებული ქონების/დოკუმენტაციის გამოყენება ან/და სრულად დაუბრუნოს ბანკს მიღებული ქონება/დოკუმენტაცია იგივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღო ის ბანკისაგან (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით). ამასთან, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში ბანკის მიერ აგენტისათვის გადაცემული ქონება/დოკუმენტაცია აღარ არის აუცილებელი აგენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული ქონება/დოკუმენტაცია უფრო მოკლე ვადაშიც.
8.2. აგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ნებისმიერი ისეთი გარემოების ცვლილების შესახებ (მათ შორის საკუთარი სტატუსის, როგორც სამართლებრივი, ისე საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე) რამაც შესაძლოა რაიმე სახის გავლენა იქონიოს ერთ-ერთი მხარის მიერ უშუალოდ ხელშეკრულებით ან/და მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
8.3. აგენტი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრილი რეკვიზიტების, მათ შორის ტელეფონის ნომრის ცვლილების შემთხვევში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს აღნიშნული ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში აგენტი პასუხისმგებელია შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებაზე.
8.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე (ხელშეკრულების დადების თარიღად მიიჩნევა მომსახურების ხელშეკრულების არსებით პირობებში მითითებული თარიღი).
8.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების გზით/საშუალებით, მხარეები ადასტურებენ, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოიყენების შემთხვევაში, შესრულებულ ხელმოწერას გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა, რასაც მხარეები არ აყენებ და არ დააყენებენ ეჭვქვეშ.
8.6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით, თუ უშუალოდ ხელშეკრულებით ან/და ხელშეკრულების დანართებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეტანილი ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.
8.7. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას.
8.8. მომსახურების ხელშეკრულების არსებით პირობებსა და მომსახურების ხელშეკრულების ზოგად პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მომსახურების ხელშეკრულებას (არსებითი პირობებს), მომსახურების ხელშეკრულებასა (არსებითი პირობებს) და დანართებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატებობა მიენიჭება დანართს, დანართებს შორის

წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესია ის დანართი, რომელიც უფრო ახალია და უკეთ მიიღწევა მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის მიზანი.

8.9. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების მუხლების, პუნქტების და ქვეპუნქტების მოქმედება.

8.10. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.

დანართი N1

1.1. მომსახურების საფასური, ლიმიტები და ანგარიშსწორების წესი

მომსახურების ტიპი:	მომსახურების საფასურის ოდენობა:
1.1. ბანკის მიერ აგენტისათვის გადასახდელი მომსახურების საფასური კლიენტის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შემთხვევაში	გადარიცხული თანხის 0.5%, ;
1.2. ბანკის მიერ აგენტისათვის გადასახდელი მომსახურების საფასური თანხის განაღდების შემთხვევაში	განაღდებული თანხის 1%;
1.3. კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი თანხა საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის შემთხვევაში	უფასო
1.4. კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი თანხა ანგარიშზე თანხის განაღდების შემთხვევაში	უფასო
1.5. კლიენტის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის მომსახურების დღიური ლიმიტი	1000 (ათასი) ლარი თითოეული კლიენტისათვის
1.6. ნაღდი ფულის კლიენტისათვის გადაცემის (განაღდების) დღიური ლიმიტი	5000 (ხუთი ათასი) ლარი თითოეული კლიენტისათვის.

2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით ხელშეკრულებით განსაზღვრულ, შესაბამისი მხარის საბანკო ანგარიშზე.

3. ბანკის მიერ აგენტისათვის გათვალისწინებული მომსახურების საფასურის, კერძოდ საანგარიშო თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდგომ, მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვის ჩათვლით, მხარეთა შორის საანაგარიშო თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების შესახებ გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ აგენტის მიერ არ განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელისმოწერა, ბანკი უფლებამოსილია არ ჩაურიცხოს აგენტს მომსახურების საფასური.